ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №17

შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი„ 11 აპრილი 2016 წელი

1.ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ფოთიქალაქტრანსპორტი" (შემდეგში „შემკვეთი") დირექტორი ბადრი ასათიანის სახით, მეორეს მხრივ - შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის ფოთის ფილიალის დირექტორის დავით ხურციას სახით (თანახმად მინდობილობისა №0002, გაც: 04.01.2016 წელს გენერალური დირექტორის მიერ), ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:
„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ობიექტის შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების ღირებულება არ აღემატება 5000 ლარს.

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია, ქვეკატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება -- 3 (სამი) ერთეული ავტობუსის საბურავის კამერის შესყიდვა.
2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

2.3 შესყიდვის კატეგორია – 19500000 - რეზინისა და პლასტმასის მასალები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი - 19511200 - საბურავის კამერა. (იხ. დანართი #1).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 საქონლის შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს -99.00 **(ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს,** საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიქტის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 01 მაისამდე.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს დამკვეთის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, ინვოისი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 11 მაისის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.3 ანგარიშსწორება შემკვეთის მიერ მოხდება გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 2 (ორი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
8.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

9. სხვა პირობები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
9.2 აღნიშნული ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი"
შ.პ.ს.„ფოთიქალაქტრანსპორტი„

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE 29LB0115113951829000
ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215131569

დირექტორი:
ბადრი ასათიანი

„შემსრულებელი"

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი„
მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებელის
ხეივანი, მე-12კმ. №5
ს/კ 202177205

ს.ს „თი ბი სი ბანკი„
ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE80TB0600000024467853

გენ.დირექტორის თუმერ კოხოძის მინდობილი პირი ფოთის ფილიალის
დირექტორი:
დავით ხერცელი

დანართი #1

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

კატეგორია	საქონლის დასახელება	განზომილება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება ლარებში	
19511200	საბურავის კამერა	ცალი	3	33,00	99,00	
	ჯამი:				99,00	

„დამკვეთი"
შ.პ.ს.„ფოთიქალაქტრანსპორტი„

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ.№12
ს.ს „ლიბერთი ბანკი"

ა/ა GE 29LB0115113951829000
ბ/კ LBRTGE22 ს/კ № 215131569

დირექტორი:
ბადრი ასათიანი

„შემსრულებელი"

შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი„
მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებელის ხეივანი, მე-12კმ. №5
ს/კ 202177205

ს.ს „თი ბი სი ბანკი„
ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE80TB0600000024467853

გენ.დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირი ფოთის ფილიალის
დირექტორი:
დავით ხურცია